EE IN GEORGIA

თანასწორი შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში

ეს ღონისძიება არის საქართველოს მოქალაქეების პასუხი ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების იმ ინიციატივებზე, რომლებმაც ქვეყნის სამ რეგიონში მცხოვრებ ქალებსა და მამაკაცებს ეკონომიკური და სამოქალაქო აქტივობის და, შესაბამისად, წარმატების მიღწევის საშუალება მისცა. ღონისძიება 2017 წლის 17 მარტს, თბილისში, სასტუმრო „ჰუალინგ თბილისში“ საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს პატრონაჟით ტარდება.

ღონისძიების 500-მდე მონაწილე: ეროვნულ, რეგიონულ, და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიმღები პირები, “ქალთა ოთახების” მენეჯერები, სოფლის რწმუნებულები, სამოქალაქო საზოგადოება, კერძო სექტორი და რეგიონებში მცხოვრები ქალები და მამაკაცები – ისინი, ვინც უკვე შეცვალა, ან აპირებს, რომ შეცვალოს რეგიონებში მცხოვრები ადამიანების ცხოვრება უკეთესობისკენ, მათთვის თანასწორი შესაძლებლობების ხელმისაწვდომობის გაზრდით, წამროადგენენ საკუთარ მოსაზრებებს, მოტივაციის წყაროებს, კონკრეტულ მაგალითებსა და მიღწევებს.
საზოგადოებისათვის ცნობილი სახეები სპორტის, კულტურის და ბიზნესის სფეროებიდან, რომელთათვის მნიშვნელოვანია საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ქალებისა და მამაკაცების, გოგონების და ბიჭების კეთილდღეობა, მოვლენ ღონისძიებაზე, რათა მხარი დაუჭირონ მათ და ისაუბრონ იმაზე, თუ რატომაა მნიშვნელოვანი თანასწორობის ბალანსი ჩვენი ქვეყნისთვის და მისი რეგიონებისთვის.
ფოიეში მოწყობილ საგამოფენო სივრცეში განთავსებული იქნება: კერძო და მუნიციპალური ინიციატივები, ასევე წარმოდგენილი იქნება ფოტოკონკურსის ფინალისტთა ფოტოები.

PARLIAMENT OF GEORGIA

ALCP Alliances Lesser Caucasus Programme

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Cooperation Office
South Caucasus

MERCY CORPS

სასტუმრო „ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისი“
2017 წლის 17 მარტი
დღის წესრიგი

დრო	თემა	მომხსენებლები	თანამდებობა
09:15-09:45	**რეგისტრაცია / ყავა-ჩაი** მთელი დღის მანძილზე, რეგისტრაციის და შესვენებების დროს, მონაწილეებს შეეძლებათ დაათვალიერონ ფოიეს საგამოფენო სივრცეში განთავსებული მრავალფეროვანი ნამუშევრები და ინიციატივები; დააგემოვნონ, შეიძინონ ქართული პროდუქცია და ფოტოკონკურსის მონაწილე ფოტოების მეშვეობით გაიგონ უფრო მეტი რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებზე		
09:45-9:55	**მისალმება**	შორენა ლორთქიფანიძე, დემეტრე ერგემლიძე	გენდერის და სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტი ტელე-წამყვანი, ფერმა
1-ლი სესია – ღონისძიების გახსნა, ძირითადი მოხსენებები			
09:55-10:10	**ღონისძიების წარდგენა - რას მოვიაზრებთ თანასწორი შესაძლებლობების გაძლიერებაში**	**ჰელენ ბრადბერი,** ძირითადი მომხსენებელი	განვითარების სპეციალისტი
10:10-10:20	**რატომაა მნიშვნელოვანი საქართველოსთვის და მისი რეგიონებისთვის თანასწორი შესაძლებლობების გაძლიერება**	**თამარ ჩუგოშვილი,** ძირითადი მომხსენებელი	საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე
10:20-10:30	**საქართველოს თანასწორობის ვალდებულებები მსოფლიოს წინაშე**	**ლიკა ნადარაია,** ძირითადი მომხსენებელი	CEDAW-ს ექსპერტი
10:30-10:40	**თანასწორი ეკონომიკური გაძლიერება**	**ქეთევან ბოჭორიშვილი,** ძირითადი მომხსენებელი	საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე
10:40-10:50	**როგორ ამდიდრებს ცხოვრებას გენდერული ბალანსი**	**გიორგი კეკელიძე,** ძირითადი მომხსენებელი	საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, მწერალი
10:50-11:00	**მოკლე ვიდეო რეგიონებში მცხოვრები ქალების წარმატებაზე**		
11:00-11:30	**ყავის შესვენება**		
მე-2 სესია – სამოქალაქო განყოფილება			
11:30 – 11:40	**სამოქალაქო განყოფილების გახსნა - ქალთა გაძლიერების მხარდასაჭერად**	**დიმიტრი ცქიტიშვილი,** ძირითადი მომხსენებელი	პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
11:40-11:45	**მე რეგიონიდან ვარ**	**დუტა სხირტლაძე,** ძირითადი მომხსენებელი	მსახიობი
11:45-11:55	**ბიზნესი საქართველოს რეგიონებში**	ნანული ბოლქვაძე	რძის საწარმოს დირექტორი, წალკა
11:55-12:05	**ოჯახური აგრო-ტურიზმი და ქალები**	შუშანა ფუტკარაძე	შუახევი, მარეთის საოჯახო სასტუმრო
12:05-12:15	**ქალების მიერ ინიცირებული ახალი საბავშვო ბაღები**	ეკა აკობაშვილი	დმანისი, ბოსლები
12:15-12:25	**წყალი სოფლისთვის**	მადონა ოქროპირიძე	თეთრიწყარო, კოდა
12:25-12:35	**ენის კურსები სოფლად მცხოვრები ქალებისთვის**	თამარ პაპიაშვილი	ბორჯომი
12:35-12:50	**“ქალთა ოთახი” – არასამთავრობო სექტორის მთავარი მოკავშირე მუნიციპალიტეტში**	გიორგი ხიმშიაშვილი, სოფია ბაკურიძე	ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალი ასოციაცია ‘ერთმანეთისთვის’

სასტუმრო „ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისი“
2017 წლის 17 მარტი
დღის წესრიგი

12:50-13:00	**კითხვა- პასუხის სესია, მეორე სესიის შეჯამება**	შორენა ლორთქიფანიძე, დემეტრე ერგემლიძე	მოდერატორები
13:00-14:00	**ლანჩი** ლანჩის დროს ფოიეში გაიმართება ადგილობრივი წარმოების პროდუქტის გამოფენა-გაყიდვა და ფოტოკონკურსი		
მე-3 სესია – "აქციე ეს რეალობად" რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე			
14:00-14:05	**სესიის წარდგენა**	შორენა ლორთქიფანიძე, დემეტრე ერგემლიძე	მოდერატორები
14:05-14:15	**სოფლად მცხოვრები თანასწორი შესაძლებლობების მქონე საზოგადოება, მმართველობა და ეკონომიკა**	**გიორგი ბაქრაძე,** ძირითადი მომხსენებელი	ეკონომისტი, მოაზროვნე
14:15-14:25	**თანასწორი შესაძლებლობების გაძლიერება ქვემო ქართლში**	პაატა ხიზანაშვილი	სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი ქვემო ქართლში
14:25-14:35	**როგორ იცვლება ადგილობრივი პოლიტიკოსების პოლიტიკური კაპიტალი ქალების მხარდაჭერით**	გოგი ბარბაქაძე	დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებელი
14:35-14:45	**მუნიციპალიტეტის გენდერული სამოქმედო გეგმა**	დავით შერაზადიშვილი, ფატიმა ტვილდიანი	ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელი, გენდერის მრჩეველი
14:45-14:55	**შემდეგი განყოფილების გაცნობა: აქციე ეს რეალობად - ახალი გენდერული სახელმძღვანელო ადგილობრივი ხელისუფლებისთვის**	შორენა ლორთქიფანიძე	გენდერის და სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტი
14:55-15:05	**გენდერული სახელმძღვანელოს პრაქტიკული გამოყენება - სოფლის წარმომადგენლების ახალი თაობა**	ლევან ვერძაძე, იანა ბერიანი	სოფლის წარმომადგენლები ქედის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებიდან
15:05-15:15	**თანასწორობის პრინციპით დახარჯული ბიუჯეტი – ინოვაციური პროექტი მარნეულიდან**	მერაბ თოფჩიშვილი რიმა ოთარაშვილი	მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ქალთა ოთახის მენეჯერი
15:15 – 15:25	**ერთი დღე ქალთა ოთახში - ახალი მუნიციპალური სერვისის ფუნქციები და აქტივობები**	თეა შარაშიძე	ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახი
15:25-15:40	**კითხვა-პასუხის სესია** **სესიის მოკლე შეჯამება**	დემეტრე ერგემლიძე, შორენა ლორთქიფანიძე	მოდერატორები
15:40-15:50	**ჩვენ ვაგრძელებთ - თანასწორი შესაძლებლობების გაძლიერება მთელი ქვეყნის მასშტაბით**	თამარ ხულორდავა, ძირითადი მომხსენებელი	საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე
15:50-16:10	**კონფერენციის შეჯამება: პლენარული სესია გამომსვლელებისთვის კომენტარების და შეკითხვების დასასმელად**	დემეტრე ერგემლიძე, შორენა ლორთქიფანიძე	მოდერატორები
16:10-17:00	**დახურვა / ფოიეში დაგეგმილ აქტივობებში მონაწილეობა**		

ღონისძიების მოდერატორები

შორენა ლორთქიფანიძე

გენდერის და სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტი

დემეტრე ერგემლიძე

ტელე-წამყვანი, გადაცემა ფერმა

საჯარო პირები და თანამოაზრე ადამიანები სახელისუფლებო და სამოქალაქო სექტორებიდან
ისაუბრებენ იმაზე, თუ რატომაა მნიშვნელოვანი თანასწორობა
ჩვენი ქვეყნის რეგიონების ეკონომიკური და სოციალური გაძლიერებისთვის.

ჰელენ ბრედბერი არის განვითარების პროფესიონალი და საქართველოს გრძელვადიანი რეზიდენტი, რომელიც მხარს უჭერს სოფლის და ქალაქის ცხოვრების ინტეგრაციას. მისი კარიერის დიდი ნაწილი დაკავშირებულია საბაზრო სისტემების განვითარებასთან, თუმცა ასევე მუშაობდა ისეთი პრობლემების გადაჭრაზე, როგორიცაა ეთიოპიაში სამეურნეო ცხენების კეთილდღეობა და ცუნამის შემდგომი ინდონეზიის ეკონომიკის ადრეული აღდგენა.
ჰელენი არის საქართველოში შვეიცარიის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული და მერსი ქორფსის მიერ იმპლემენტირებული „სამხრეთ კავკასიის ალიანსების პროგრამის“ გუნდის ლიდერი, რომელიც მხარს უჭერს M4P (ბაზარი ღარიბებისთვის) მიდგომას და ქალების ეკონომიკურ გაძლიერებას.
ჰელენი უაღრესად არის დაინტერესებული გენდერული თანასწორობისა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ინტეგრაციით M4P მიდგომაში. მისი პროგრამა არის მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესო პროგრამა, რომლის შედეგები და გამოცდილება უკვე შეტანილია რამდენიმე საერთაშორისო სახელმძღვანელოში, როგორც სამთავრობო, სამოქალაქო და კერძო სექტორებში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების და მათი გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანასწორი ჩართვის საუკეთესო მაგალითი.

თამარ ჩუგოშვილი არის ახალგაზრდა ქართველი პოლიტიკოსი, საერთაშორისო დონის განათლებით სამართლისა და საჯარო მმართველობის დარგში.
სამოქალაქო სექტორში წამყვან პოზიციებზე სამუშაო გამოცდილების შეძენის შემდეგ, ის საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ერთად მუშაობდა ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე. მისი ცოდნა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალებისა და მამაკაცების თანაბარ მონაწილეობაზე, განსაკუთრებით გაამდიდრა ჰარვარდის კენედის სკოლაში სწავლამ, სადაც ის პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის კურსს გადიოდა.
2014 წელს მან დიდი წვლილი შეიტანა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე საქართველოს პირველი ეროვნული სტრატეგიის და შესაბამისი სახელმწიფო სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. ამავდროულად ის ქართული სახელმწიფოს მხრიდან იყო მთავარი საკონტაქტო პირი და მუშაობდა ბატონ ტომას ჰამერბერგთან, ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელთან საქართველოში სამართლებრივი და საკონსულტაციო რეფორმების და ადამიანის უფლებების საკითხებზე. ამჟამად, თამარი საქართველოს პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი და პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეა.

გიორგი კეკელიძე არის მწერალი, პოეტი, ესეისტი, რომელმაც ახალი სიცოცხლე შესძინა საქართველოში საბიბლიოთეკო კულტურას. 2012 წლის მარტიდან ის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორია. მისი ხელმძღვანელობით დაიწყო ეროვნული ბიბლიოთეკის მოდერნიზაციის პროცესი, შეიქმნა ძველი ფოტოსურათების ეროვნული ელექტრონული (ციფრული) არქივი და საქართველოს რეგიონებში განახლდა და აღდგა სასოფლო ბიბლიოთეკები. გიორგიმ დააფუძნა ეროვნული ბიბლიოთეკის კუთხეები სტამბულში, კიევსა და ვენაში. მან შეძლო ჰარმონიაში მოეყვანა სიძველე და ინოვაცია ბიბლიოთეკის ძველმოდურ სივრცეში ახალი ტექნოლოგიების ინტეგრირებით.
თავის მთავარ სამუშაოსთან ერთად, გიორგი არის სხვადასხვა სატელევიზიო და რადიო პროგრამების წამყვანი, ლიტერატურული მიმომხილველი, ყოველკვირეული სამხატვრო ღონისძიებების დამფუძნებელი. ის ქვეყნის რამდენიმე უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს კლასიკურ ლიტერატურასა და ხელოვნების ისტორიაზე. გიორგი არის საქველმოქმედო ფონდის დამფუძნებელი, რომელიც აერთიანებს სტუდენტებს, და უძღვება საგანმანათლებლო და სოციალურ აქტივობებს. 2015 წელს მან გამოსცა წიგნი სახელად „გურული დღიურები“, რომელიც თანამედროვე ბესტსელერი გახდა. მოგვიანებით წიგნის შინაარსის მიხედვით შეიქმნა სპეციალური ტურისტული ტური - გურული დღიურების მარშრუტი.

გიორგი ბაქრაძე - ეკონომისტი, მოაზროვნეთა გუნდის ლიდერი, ლექტორი, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მრჩეველი, კომპიუტერული ცოდნის საზოგადოების საბჭოს წევრი. გიორგი ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა ინტელექტუალური ტელე გადაცემით: რა? სად? როდის?, სადაც მან ქვეყნის საუკეთესო მოაზროვნის სტატუსი მოიპოვა. მისი გონება იტევს წარმოუდგენელი მასშტაბის მრავალმხრივ ცოდნას მეცნიერების, ლიტერატურის, მუსიკის, კინომატოგრაფიის, საინფორმაციო ტექნოლოგიების და სხვა დარგების შესახებ. გიორგი ბაქრაძეს აქვს ამერიკის უილიამსის კოლეჯის და ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი ეკონომიკაში, ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი ფიზიკაში. წლების განმავლობაში ის პროფესიულ ცოდნას იღრმავებდა მსოფლიოს ისეთ წამყვან ეკონომიკურ დაწესებულებებსა და კომპანიებში, როგორებიცაა: ინგლისის ბანკი, საფრანგეთის ბანკი, შვეიცარიის ეროვნული ბანკი, ვენის ერთიანი ინსტიტუტი, IMF ინსტიტუტი. გიორგი მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, კვლევის და პუბლიკაციის ავტორია, 2004 წლიდან კი - საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების ლექტორი. გიორგის საჯარო და არასამთავრობო სექტორში მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვს. მსოფლიო ბანკის ერთ-ერთ პროექტში კი ის საქართველოში მუნიციპალური სერვისების განვითარებაზე მუშაობდა.

ლია ნადარაია - გენდერის ექსპერტი, ქალთა პოლიტიკური რესურსცენტრის დირექტორი, სამხრეთ კავკასიის ქალთა კონგრესის თავმჯდომარე და კავკასიის ფემინისტური ინიციატივის პრეზიდენტი. 2014 წლიდან ის გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის (CEDAW) კომიტეტის წევრია.
ორი ათწლეულის განმავლობაში ის ეწეოდა საგანმანათლებლო საქმიანობას, წერდა პუბლიკაციებს და რეალურად ახორციელებდა ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იყო ქალთა უფლებებზე და როლზე როგორც ადგილობრივ მმართველობებში, ისე ზოგადად პოლიტიკაში; ასევე, კანონზე და საარჩევნო საკითხებზე ქალთა ცნობიერების ამაღლებაზე; მუშაობდა ქალების ინიციატივების და მონაწილეობის მხარდასაჭერ საკითხებზე. მან შეიმუშავა რიგი სამართლებრივი, საკანონმდებლო რეკომენდაციები, რომლებიც დაკავშირებულია ქალთა მონაწილეობის გაზრდასთან გადაწყვეტილების მიღების პოლიტიკურ პროცესებში. ეს მისი საქმიანობის მხოლოდ მცირე ჩამონათვალია. გაეროში მისი მოღვაწეობა კი პირდაპირ არის დაკავშირებული თანასწორობის პოპულარიზაციასა და მხარდაჭერასთან, როგორც საერთაშორისო დონეზე, ისე საქართველოში.

საჯარო პირები და თანამოაზრე ადამიანები სახელისუფლებო და სამოქალაქო სექტორებიდან
ისაუბრებენ იმაზე, თუ რატომაა მნიშვნელოვანი თანასწორობა
ჩვენი ქვეყნის რეგიონების ეკონომიკური და სოციალური გაძლიერებისთვის.

ქეთევან ბოჭორიშვილი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე.
ქეთევანს მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო საჯარო მენეჯმენტში მიღებული აქვს იტალიაში, მილანში. სამუშაო გამოცდილების დაგროვება და ლიდერული უნარების დაუფლება ჯერ კიდევ სტუდენტური წლებიდან - მისი პირველი სამსახურიდან დაიწყო, როდესაც საერთაშორისო განათლების ამერიკის საბჭოებში პროექტის მენეჯერად მუშაობდა. მოგვიანებით მისი კარიერა მილანში მენეჯმენტის საკითხებში საკონსულტაციო კომპანიაში, შემდგომში კი ფონდში „ათასწლეულის გამოწვევა საქართველო“ გაგრძელდა. 2010 – 2012 წლებში იყო საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი.
ქეთევანი 2012 წლიდან დღემდე არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე და ერთ-ერთი მთავარი პირი, რომელიც ისეთ მნიშვნელოვან სახელმწიფო პროგრამებს უდგას სათავეში, როგორიცაა „აწარმოე საქართველოში“, რომლითაც უკვე 200-ზე მეტი საწარმო გაიხსნა.

თამარ ხულორდავა - საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი. მას განათლება ევროპისა და ამერიკის რამდენიმე უნივერსიტეტში აქვს მიღებული. 1995 წელს გახდა აშშ-ს მთავრობის მომავალი ლიდერების გაცვლითი პროგრამის სტიპენდიანტი და დაამთავრა აშშ-ს ვისკონსინის შტატის ჰართფორდის უმაღლესი სკოლა. მოგვიანებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლა დაასრულა და იურისტის კვალიფიკაცია მიენიჭა. 2014 წელს კვალიფიკაცია აიმაღლა Swedish Institute-ის მიერ ორგანიზებული პროგრამის - გამჭვირვალე საჯარო ადმინისტრირება და მენეჯმენტი ფარგლებში, ლუნდის უნივერსიტეტში, შვედეთში. ჩაბარებული აქვს ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო სამართალის სპეციალიზაციით და პროკურორის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართალის სპეციალიზაციით. პარლამენტის წევრად არჩევამდე თამარი იყო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველი მოადგილე, უფრო ადრე კი მუშაობდა იურისტად საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობაში და ასევე ამერიკის იურისტთა ასოციაციაში. ამასთან ერთად წლების განმავლობაში თამარი უძღვებოდა პროფესიული მომზადების კურსებს საპროცესო უნარ-ჩვევებში, სამართლებრივი მართლწერისა და ადვოკატის პროფესიული ეთიკის საკითხებში უნივერსიტეტის სტუდენტებისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებისათვის.

დიმიტრი ცქიტიშვილი არის საქართველოს პარლამენტის წევრი, პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტისა და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.
დიმიტრის აქვს აშშ-ს, ვაიომინგის უნივერსიტეტის საერთაშორისო მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი. ის წლების განმავლობაში იკავებდა ახალგაზრდა სოციალისტთა საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას და კურირებდა შავი ზღვის რეგიონული თანამშრომლობის მიმართულებას.
დიმიტრი არის პარტია "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" წევრი. პარტიის დაარსების დღიდან, ის კურირებდა პარტია ქართული ოცნების საერთაშორისო ურთიერთობებს ევროპის პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და პარტიებთან.
დიმიტრი ასევე ეწევა აკადემიურ საქმიანობას, არის ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის ლექტორი სამაგისტრო კურსზე - საგარეო პოლიტიკის ანალიზი.

დუტა სხირტლაძე - მსახიობი, შოუმენი და სატელევიზიო სახე, რომელიც ორ ათწლეულზე მეტია ინარჩუნებს პოპულარულობას და მაყურებლის სიმპატიას.
დუტა კახეთში, თელავში დაიბადა და იქვე გაატარა ბავშვობის წლები. მსახიობი ყოველთვის ცდილობს გამოხატოს განსაკუთრებული სიყვარული და ინტერესი სოფლად ცხოვრების და სოფელში მაცხოვრებელთა მიმართ.
მისი კარიერა თეატრიდან დაიწყო, იყო შოთა რუსთაველის სახელმწიფო თეატრის და თეატრალური სარდაფის მსახიობი, ამჟამად კი მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მუშაობს. თეატრში მოღვაწეობის გარდა, გადაღებულია 20-მდე მხატვრულ ფილმში.

პაატა ხიზანაშვილი გახლავთ სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი ქვემო ქართლში. მისი კარიერა ძირითადად სასწავლო, ადმინისტრაციულ და საფინანსო სექტორებს და ასევე პოლიტიკას უკავშირდება. წლების განმავლობაში ის სს „ბანკი ქართუ“-ში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებს იკავებდა. უფრო ადრე კი მუშაობდა სხვადასხვა სამინისტროებში ხელმძღვანელ პოზიციებზე.
პაატა პრაქტიკოსი ფსიქოლოგი და პროფესიონალია, საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწეობის დიდი გამოცდილება აქვს. იგი საქართველოს უშიშროების სამინისტროს აკადემიაში მუშაობდა ოპერატიული ფსიქოლოგიის კათედრის გამგის პოზიციაზე, ამავე ინსტიტუციაში დააგროვა პედაგოგიური გამოცდილება.
ბატონი პაატა აქტიურადაა ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში, საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და „ჯიუ-ჯიცუს“ ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტია.

ფოიეში გამოფენილი მრავლფეროვანი ნამუშევრები და ინიციატივები,
მათი ავტორების ენთუზიაზმი და ნიჭიერება თქვენი შთაგონების წყარო გახდება

აჭარის ფსიქიატრიული საავადმყოფო

აჭარის ფსიქიატრიული საავადმყოფო თავის საგამოფენო დახლზე წამოადგენს ულამაზეს ხელნაკეთ ნივთებს, ნახატებს და უგემრიელეს ტკბილეულს, რომელიც დამზადებულია საავადმყოფოს პაციენტების მიერ. გაყიდვიდან შემოსულ თანხას საავადმყოფო ახალი სოციალური საწარმოს PIA-ს (People in Action) ჩამოყალიბებას მოახმარს.

გარდაბნის კულტურის სახლი

გარდაბნის კულტურის სახლი წარმოადგენს როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე სტილში შესრულებულ ტილოებს, გობელენებს, სამკაულებს, თექით შექმნილ ნახატებს და თიხის ნაწარმს. ამ ნაწარმის გაყიდვიდან შემოსული თანხა გარდაბანში, სოფელ ნორიოში სახელოვნებო სკოლის დაფუძნებას მოხმარდება.

ქართული ყველი სამი რეგიონიდან

6 საწარმო: ცეზარი, მილკენი, ჩიზლაინი, წიფორა, ახალი მესხეთი და თხის ფერმა „იმედი“, წარმოადგენენ ქართული ყველის სახეობებს. სტუმრებს შეეძლებათ დააგემოვნონ საუკეთესო ქართული ყველი, მათ შორის ამერიკაში ექპორტირებული სულგუნიც, რომელიც ნიუ იორკისა და ლოს ანჯელესის სუპერმარკეტებში წარმატებით იყიდება.

დმანისის კულტურის და ხელოვნების სახლი

დმანისის მუნიციპალიტეტის ააიპ კულტურის და ხელოვნების სახლი წარადგენს ლამაზ ხელნაკეთ ნივთებს, თოჯინებს და ნაჭრისგან, ხისგან და თექისგან დამზადებულ ნახატებს. ნივთების გაყიდვიდან შემოსული თანხა დმანისში ახალი მუნიციპალური ტურისტული საინფორმაციო ცენტრის ჩამოყალიბებას მოხმარდება.

ინდივიდუალური მეწარმე ომარ სხულანძე

ომარ სხულანძე არის ხელოვანი ბორჯომის მუნიციპალიტეტიდან, რომელიც შესთავაზებს ღონისძიების მონაწილეებს უნიკალური წარმოების მეტალის ხელნაკეთ სუვენირებს. გაყიდვიდან შემოსული თანხა ხელოვანს საშუალებას მისცემს გაამრავალფეროვნოს პროდუქცია და გააფართოვოს ბიზნესი.

ქობულეთის ეთნომუზეუმი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მუზეუმი წარმოადგენს უძველეს რკინის და ხის ჭურჭელს, რომელიც ასახავს საქართველოს მრავალსაუკუნოვან კულტურას და მხარს დაუჭერს ქობულეთის მუზეუმის შენობაში ეთნო კაფეს გახსნის იდეას. ასევე წარმოდგენილი იქნება ქობულეთური მადისაღმძვრელი ტკბილეული, ღვინო და თაფლი.

ხელოვანები თეთრიწყაროდან

ოთხი ნიჭიერი ხელოვანი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტიდან ღონისძიების მონაწილეებს გასაოცარ ხელნაკეთ ნივთებს, თოჯინებს, ნახატებს, და თიხისა და ხის ნაწარმს შესთავაზებს, რომელთა გაყიდვიდან შემოსული თანხა მათი ნაწარმის მრავალფეროვნების გაზრდას და საჭირო სამუშაო მასალის შეძენას მოხმარდება.

ახალქალაქის ინტეგრაციის ცენტრი

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ინტეგრაციის ცენტრი „რეას“ წარადგენს თექის და ქაღალდის ხელნაკეთ ნივთებს და ნახატებს, რომლებიც დამზადებულია ამ ცენტრის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მიერ. ნაწარმის გაყიდვიდან შემოსულ თანხას ცენტრი ახალი მასალის და საკვების შესაძენად, და ასევე, სოფლებიდან ინტეგრაციის ცენტრში ბავშვების ტრანსპორტირებისთვის გამოიყენებს.

ქედის ახალგაზრდული ცენტრი

ქედის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ახალგაზრდული ცენტრი წარმოადგენს ხელნაკეთ ნაწარმს, როგორიცაა: თექის ფიგურები და ნახატები, მოქსოვილი და თექისგან დამზადებული ტანსაცმელი და სხვა აჭარული ორნამენტებით გაფორმებული სუვენირები. გაყიდვიდან შემოსული თანხით ქედაში ეროვნული რეწვისა და ტრადიციული ხელოვნების ახალი მუნიციპალური სტუდიის გახსნა დაფინანსდება.

ფოიეში გამოფენილი მრავალფეროვანი ნამუშევრები და ინიციატივები,
მათი ავტორების ენთუზიაზმი და ნიჭიერება თქვენი შთაგონების წყარო გახდება

როქი და მომავლის ფერმერი

„როქი“-ს 22 სადისტრიბუციო ეკიპაჟი ქვეყნის მასშტაბით 300-ზე მეტ ვეტაფთიაქსა და ფერმერთა მომსახურების ცენტრს ემსახურება; აქვს 1000-ზე მეტი პროდუქტი და არის 20-ზე მეტი მსოფლიო ბრენდის წარმომადგენელი. კომპანიის პარტნიორის, „მომავლის ფერმერი“-ს სერვისებით 25000-ზე მეტი ფერმერი სარგებლობს.

შუახევის კულტურის დეპარტამენტი

შუახევის მუნიციპალიტეტის კულტურის დეპარტამენტი წარმოადგენს სხვადასხვა ხელნაკეთ ნივთებს და ტრადიციულ ნაქარგობას. ასევე დახლზე წარდგენილი იქნება ხელნაკეთი სამკაულები. გაყიდვიდან შემოსული თანხა ახალი მასალების შეძენას მოხმარდება.

ხელოვნების სალონი ხულოდან

ხელოვნების სალონი ხულოდან წარადგენს გასაოცარ ნახატებს, რომლებიც აჭარის მაღალმთიანეთის ულამაზეს ხედებს და ბუნებას ასახავენ. სალონს სურვილი აქვს გაზარდოს ნამუშევრების რაოდენობა და გაყიდვიდან შემოსულ თანხას საღებავების და სხვა საჭირო მასალის შესაძენად გამოიყენებს.

ხელოვნების ნიმუშები ხულოდან

ხულოს მუნიციპალიტეტის ააიპ კულტურის ცენტრი ღონისძიების მონაწილეებს წარუდგენს არაჩვეულებრივ ხის ნაწარმს და სხვადასხვა სახის ნაქსოვ და მოქარგულ პროდუქციას. გაყიდვიდან შემოსული თანხა ადგილობრივი ხელოვანებისთვის მასალის შეძენას და ამ დარგის პოპულარიზაციას მოხმარდება.

ABBA (აჭარის მეფუტკრეთა ბიზნეს ასოციაცია)

აჭარის მეფუტკრეთა ბიზნეს ასოციაცია წარმოადგენს ლამაზად გაფორმებულ, ექვსკუთხედ სტენდს, რომელზეც გამოფენილი იქნება ასოციაციის წევრთა მიერ წარმოებული თაფლი და სხვა პროდუქტები. გაყიდვიდან შემოსული თანხა სრულად გადაეცემათ თაფლის მწარმოებელ ფერმერებს.

ექსპორტზე გატანილი ქართული მატყლი

„ქართული მატყლის კომპანია“ პირველი საწარმოა საქართველოში, რომელმაც ქართული მატყლი გაიტანა ევროპაში; ისინი მატყლის ექსპორტს ინდოეთსა და უკრაინაშიც ახორციელებენ. კომპანია წარმოადგენს ქართული მატყლის ნიმუშებს, რომლებიც უმსხვილესი საწარმოების მიერ ხალიჩების და მატრასების წარმოებისთვის გამოიყენება.

ბათუმის ბოტანიკური ბაღის ნობათი

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მდიდარი ბოტანიკური ბაღი წარმოგვიდგენს უნიკალურ თაფლოვან მცენარეებს აჭარის რეგიონიდან. სტუმრებს საშუალება ექნებათ ბათუმის ბოტანიკური ბაღის მეფუტკრეობის მეურნეობაში წარმოებული სხვადასხვა სახეობის თაფლი დააგემოვნონ და შეიძინონ.

საქართველოს უნიკალური ველური ბუნება

საქართველოში მდგრადი ტურიზმის განვითარების მიზნით გაერთიანებული ბუნების დამცველთა კუთხე საქართველოს უნიკალური ფლორისა და ფაუნის აღმოსაჩენად ფოტოგამოფენას შემოგვთავაზებს. „ეკოტურზი“ - ტურისტულ ეკოტურებს, ხოლო კომპანია „ეკოფილმზი“ - ახალ დოკუმენტურ ფილმს, „ჯარა“-ს პრეზენტაციას წარმოგვიდგენს.

ხალხური რეწვის ოსტატები ხელვაჩაურიდან

ხალხური რეწვის ოსტატები ხელვაჩაურიდან და მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი არაჩვეულებრივ ხელნაკეთ ნივთებს წარადგენენ. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახი“ კი ღონისძიების მონაწილეებს უგემრიელეს აჭარულ ბაქლავას შესთავაზებს. გაყიდვიდან შემოსული თანხა სრულად მოხმარდება ახალი ხელნაკეთი ნაწარმის შექმნას.

ფოიეში გამოფენილი მრავალფეროვანი ნამუშევრები და ინიციატივები,
მათი ავტორების ენთუზიაზმი და ნიჭიერება თქვენი შთაგონების წყარო გახდება

საოცარი ხელნაკეთობები, ბოლნისი

ხელოვანები ბოლნისის მუნიციპალიტეტიდან წარმოადგენენ ხისგან, მატყლისგან, ბატიკით დამზადებულ, გობელენზე და ფერწერულ ტილოებზე შესრულებულ ნამუშევრებს. გაყიდვებიდან შემოსული თანხა ახალი მასალების შესყიდვას მოხმარდება.

ხალხური რეწვის ოსტატები, მარნეული

ხალხური რეწვის ოსტატები მარნეულის მუნიციპალიტეტიდან წარადგენენ ხელნაკეთ თოჯინებს, მძივებისგან დამზადებულ უნიკალურ სუვენირებს, სამკაულებს და თექის ფერწერულ ტილოებს. ხელნაკეთი ნივთების გაყიდვიდან შემოსული თანხა სრულად მოხმარდება ახალი პროდუქციის შექმნას.

ხელოვნების ნიმუშები, ახალციხე

თვითნასწავლი ხელოვანი ახალციხის მუნიციპალიტეტიდან, ექთანი გულიკო ხუციშვილი ღონისძიებაზე თავის შთამბეჭდავ ნამუშევრებს, ბუმბულისგან დამზადებულ და ამოქარგულ ნახატებს წარადგენს. გაყიდვიდან შემოსული თანხა ახალი ნამუშევრების შექმნას მოხმარდება.

რეგიონული მაუწყებლობა

„საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია“ (GARB) 2004 წელს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა მიერ დაფუძნდა. ასოციაცია 21 ადგილობრივ ტელევიზიას აერთიანებს, რომლებიც საქართველოს რეგიონების უმრავლესობას ფარავს. სოფლად მცხოვრები კაცების და ქალების ეკონომიკური გაძლიერება და აგრობიზნესი რეგიონული ტელევიზიების პრიორიტეტებია.

ფერმა

გადაცემა „ფერმა“ ერთადერთი აგრო სატელევიზიო პროგრამაა საზოგადოებრივ მაუწყებელზე, რომელიც გვიყვება ადგილობრივი ფერმერების, სოფლის ცხოვრების და იმ გამოწვევების შესახებ, რის წინაშეც დღევანდელი სოფელი დგას: პირუტყვის დაავადებები, საკვები რესურსების და ფინანსების ნაკლებობა, მტაცებელ ცხოველთა თავდასხმები და სხვა.

რეგიონული ბეჭდური მედია

„საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია“ (GRMA) 2002 წელს დამოუკიდებელი ჟურნალისტების მიერ დაფუძნდა. ასოციაცია 22 ადგილობრივ გაზეთსა და 19 ვებ პორტალს აერთიანებს, რომელთა მკითხველი სოფლად მცხოვრები მოსახლეობაა. მათი თანასწორი ეკონომიკური და სამოქალაქო გაძლიერება რეგიონული გაზეთების პრიორიტეტია.

ბიზნესის განვითარების სერვისები

3 ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია - „სტარ კონსალტინგი“, „პირველი საკონსულტაციო“ და „დარც ჯგუფი“ - სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის, ბიზნესისა და მარკეტინგის სერვისებს წარმოადგენენ. ღონისძიების სტუმრებს ისინი სხვადასხვა ბიზნეს სექტორში საკუთარი მუშაობის გამოცდილებას გაუზიარებენ.

GFA - ახალგაზრდა ფერმერები

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ახალგაზრდა წევრები ღონისძიების სტუმრებს ფერმერულ ღვინოს, თაფლს და თხილს შესთავაზებენ. მათ შესაძლებლობა ექნებათ თავიანთი პროდუქცია უფრო ცნობადი გახადონ, გაზარდონ მოტივაცია და კრეატიულობა ახალი იდეების განსახორციელებლად აღნიშნულ სექტორში.

რეგიონებში მცხოვრები მოყვარული ფოტოგრაფების, ჟურნალისტებისა და ფოტოგრაფების მიერ დანახული სოფლის ცხოვრება

ბორის კარსლიანი
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი

დუდუ ალაგეზოვი
მარნეულის მუნიციპალიტეტი

ფატი შავაძე
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

გიორგი ჩეკურიშვილი
თელავის მუნიციპალიტეტი

მარია ჩე
ხულოს მუნიციპალიტეტი

გიორგი ჩეკურიშვილი
თელავის მუნიციპალიტეტი

გიორგი ვერულიძე
ქობულეთის მუნიციპალიტეტი

გიორგი ჩეკურიშვილი
თელავის მუნიციპალიტეტი

ჰემალ მეგრელიძე
ხულოს მუნიციპალიტეტი

კრისტინა მარაბიანი
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი

მაია ყალაბეგაშვილი
გურჯაანის მუნიციპალიტეტი

კრისტინა მარაბიანი
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი

მარიამ ჭილაია
ბოლნისის მუნიციპალიტეტი

მარინა ბეროშვილი
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

მარიამ ჭილაია
ბოლნისის მუნიციპალიტეტი

რეგიონებში მცხოვრები მოყვარული ფოტოგრაფების, ჟურნალისტებისა და ფოტოგრაფების მიერ დანახული სოფლის ცხოვრება

ოთარ ცინარიძე
შუახევის მუნიციპალიტეტი

სოფიო ხაბაზი
ქედის მუნიციპალიტეტი

როინ ბერიძე
გარდაბნის მუნიციპალიტეტი

შუშანა შირინიანი
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი

ფატი შავაძე
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

ეკა ბარამიძე
ხულოს მუნიციპალიტეტი

გიორგი ჩეკურიშვილი
თელავის მუნიციპალიტეტი

ლევან მახარაძე
ხულოს მუნიციპალიტეტი

მარია ჩე
ხულოს მუნიციპალიტეტი

მარია ჩე
ხულოს მუნიციპალიტეტი

გივი ნახუცრიშვილი
ბათუმი

მარიამ ფოცხვერაშვილი
ასპინძის მუნიციპალიტეტი

ნატალია ცისკარაშვილი
თელავის მუნიციპალიტეტი

სოფო ბურჭულაძე
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

მარიამ ჭილაია
ბოლნისის მუნიციპალიტეტი

გენდერი და მმართველობა: ქალთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

2011 წელს წალკაში, დმანისსა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში დაიწყო საპილოტე პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა, ადგილობრივი თვითმმართველობის სერვისები და კონსულტაცია სოფლად მცხოვრები ქალებისთვის უფრო ხელმისაწვდომი გაეხადა. უფრო მეტიც, ქალებს უნდა ეგრძნოთ, რომ მათი მისვლა და ყოფნა თვითმმართველობის შენობაში ყველასთვის სასურველი და მისაღებია. თავდაპირველად გაიხსნა სამი მუნიციპალური „ქალთა ოთახი“ და სოფლის რწმუნებულები დატრენინგდნენ სოფლის კრებებში ქალების მონაწილეობის გაზრდის საკითხებში. ამ სამ მუნიციპალიტეტში, ხუთი წლის განმავლობაში, ქალების მონაწილეობა სოფლის კრებებში 3-5%-დან 30%-33%-მდე გაიზარდა.

ამ ეტაპზე კი, ქვეყნის სამი რეგიონის - ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და აჭარის 17 სასოფლო მუნიციპალიტეტში გახსნილია 17 ახალი სერვისი „ქალთა ოთახი“, ხოლო 2 - თვითმმართველ ქალაქ ბათუმსა და რუსთავში, რომლებიც ქალაქს სოფელთან აკავშირებენ. „ქალთა ოთახი" წარმოადგენს ახალ მუნიციპალურ სერვისს, რომელიც ღია და თავისუფალი საინფორმაციო-საკონსულტაციო სივრცეა სოფლის მაცხოვრებლებისთვის, განსაკუთრებით ქალებისთვის. „ქალთა ოთახების“ დაარსება შვეიცარიულმა SDC-მ (9 მუნიციპალიტეტში) და ამერიკულმა USAID-იმ (10 მუნიციპალიტეტში) დააფინანსეს. „ქალთა ოთახის“ 9000 ვიზიტორიდან 38% მამაკაცია. „ქალთა ოთახებს“ მუდმივად იყენებენ ადგილობრივი თემის საჭიროებებიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე, მიმართავენ მას ბიბლიოთეკისთვის და ასევე იღებენ კონსულტაციებს; 1800-მდე სოფლად მცხოვრებმა ქალმა „ქალთა ოთახებში“ გაიარა სპეციალური კურსები და გაიუმჯობესა კომპიუტერთან მუშაობის, ენების, ბიზნეს გეგმის წერის და ბიზნესის მართვის უნარები.

30 თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა „ქალთა ოთახებსა“ და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, რომლებსაც სურთ თანაბრად მიაწვდინონ ხმა სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას; დატრენინგდა 350 სოფლის რწმუნებული, ათეულობით ქალბატონმა სოფლებში დაიწყო ან გააფართოვა საკუთარი მცირე ბიზნესი; განხორციელდა ქალების მიერ სოფლის კრებებზე წარდგენილი, ან „ქალთა ოთახების“ დახმარებით ინიცირებული და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ დაფინანსებული 68 ინიციატივა, რომელთა სრული ღირებულება შეადგენს 266, 651 აშშ დოლარს. „აწარმოე საქართველოს“ მიერ მთიან აჭარაში დაფინანსდა ქალების მიერ წარდგენილი 19 ბიზნეს პროექტი, ჯამური ღირებულებით 57,000 აშშ დოლარი.

Women's Room
ქალთა ოთახი

Women's Room
ქალთა ოთახი

გენდერი და მმართველობა: ქალთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

შესავალი: კვლევების თანახმად, საქართველოს სოფლებში მცხოვრები ქალები ნაკლებად, ან საერთოდ არ არიან ჩართულნი ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ასევე დაბალია მათი ეკონომიკური აქტივობაც. 2010 წელს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, რომელიც მუნიციპალიტეტებს გენდერულად დაბალანსებული პოლიტიკის განხორციელებას ავალდებულებს, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება კანონის მოთხოვნების იმპლემენტაციას შესაბამისი მექანიზმებისა და კადრების არარსებობის გამო ვერ ახერხებს.

ინტერვენციის მოკლე მიმოხილვა

სახელი: ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და „ქალთა ოთახი“
აღწერა: „ქალთა ოთახი“ არის ახალი მუნიციპალური საკონსულტაციო-საინფორმაციო სერვისი ბიბლიოთეკით, საბავშვო კუთხით, უფასო ინტერნეტით და შეხვედრებისთვის განკუთვნილი თავისუფალი სივრცით ადგილობრივი მოსახლეობისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და თავად თვითმმართველობაში მომუშავე ადამიანებისათვის. „ქალთა ოთახი“-ს მიზანია სოფლად მცხოვრები ქალების ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მათ შორის დასახლების საერთო კრებებში, და სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა.
ინტერვენციის დაწყების თარიღი: თებერვალი, 2012
ძირითადი პრობლემა: ქალთა შეზღუდული მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მუნიციპალურ და სასოფლო დონეებზე.
მთავარი სამიზნეები: ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის გენდერული სახელმძღვანელოს შემუშავება; სოფლის რწმუნებულების და „ქალთა ოთახის“ მენეჯერების დატრენინგება; სოფლის კრებებში, „ქალთა ოთახის“ მეშვეობით, ქალების მონაწილეობის გაზრდა; მუნიციპალიტეტის მიერ სოფლად მცხოვრები ქალების (და ასევე მამაკაცების) ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობა მოკლევადიანი სასწავლო კურსების, ტრენინგების და კონსულტაციის უზრუნველყოფით;

„ქალთა ოთახის“ დაარსებისთვის დახარჯული ინვესტიციის საშუალო ოდენობა ერთი მუნიციპალიტეტისთვის:

პროექტის ღირებულება	თანხა (ლარი)	პროცენტი
ინვესტიცია სულ	20821.00	100.00%
„ალიანსების“ ინვესტიცია	12831.00	61.63%
მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება	7990.00	38.37%

ინტერვენციის შედეგები:
გამგებლის წარმომადგენლების 50% იყენებს გენდერულ სახელმძღვანელოს;
მუნიციპალური გადაწყვეტილებების 30% ქალთა აქტიური მონაწილეობით მიიღება;
წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტი გენდერულად სენსიტიურ მინ. 10 აქტივობას ახორციელებს;
ქალთა მონაწილეობა სოფლის კრებებში 20%-ით იზრდება.

განმახორციელებელი პროგრამის შესახებ

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაფინანსებული და საერთაშორისო ორგანიზაცია „მერსი ქორფსის“ მიერ იმპლემენტირებული „მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამა“ 2008 წლიდან ხელს უწყობს სოფლად მცხოვრები ქალებისა და მამაკაცებისთვის თანასწორი საბაზრო სისტემების განვითარებას და მათი კეთილდღეობის გაუმჯობესებას. მეტი ინფორმაციითვის იხ.: www.alcp.ge და www.eda.admin.ch/georgia

ALCP Alliances Lesser Caucasus Programme
Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra
Swiss Cooperation Office South Caucasus
MERCY CORPS